



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის ოქტომბერში საქართველოს რეალური მშპ წლიურად 8.3%-ით გაიზარდა, წინა თვის 8.8%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2022 წლის პირველ 10 თვეში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 10.0%-ით გაიზარდა. ოქტომბერში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, ტრანსპორტის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, სამთომოპოვებითი მრეწველობის, და მასპინძლობის დარგებში, ხოლო შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების სექტორებში. ჩვენი პროგნოზით, 2022 წელს საქართველოს ეკონომიკა 10.2%-ით გაიზარდება (იხილეთ მეტი ამ დოკუმენტში).

ინფლაცია: საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 10.4%-მდე შენედა, წინა თვის 10.6%-იანი დონიდან. ამასთან, საბაზო ინფლაცია, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, ასევე შენედა 7.2%-მდე. 2022 წლის ნოემბერში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+16.8%, 5.55პპ), საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (+15.4%, 1.51პპ), ტრანსპორტი (+8.2%, 0.97პპ) და სასტუმროები და რესტორნები (+15.9%, 0.66პპ). ამასთან, 2022 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით ადგილი ჰქონდა 0.5%-იანი ინფლაციის, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების (+1.5% თ/თ) და ტრანსპორტის (-1.4% თ/თ) კატეგორიებში.


ბიუჯეტი: მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 ვერსია, რომელიც მოიცავს 2022 წლის განახლებულ მაკროპარამეტრებსაც. 2023 წლის ბიუჯეტის ჩარჩო ემყარება მშპ-ის 5.0%-იანი ზრდას და 5.0%-იანი დეფლატორს. ამასთან, მთავრობამ მე-3 ვერსიაში 2022 წლის მშპ-ს ზრდის პროგნოზი 10.0%-მდე გაზარდა მე-2 ვერსიაში არსებული 8.5%-დან. 2023 წლისთვის, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები წლიურად 8.9%-ით იზრდება მშპ-ის 23.7%-მდე, რაც მცირედით ჩამორჩება ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპს. ამასთან, მიმდინარე ხარჯები მშპ-ის 21.9%-მდე არის დაგეგმილი, რაშიც გათვალისწინებულია ხელფასების საშუალო წლიური 10%-იანი ზრდა, ხოლო კაპიტალური ხარჯები კვლავ მაღალ დონეზე რჩება და მშპ-ის 8.1%-ს შეადგენს 2023 წლისთვის (2021 წელს 8.0% იყო მშპ-ის მიმართ და 2022 წლის მოსალოდნელი მაჩვენებელი 8.8%-ია). ფისკალური დეფიციტი 2023 წელს მშპ-ის 2.8%-ზეა დაგეგმილი, რაც მცირდება 2022 წელს მოსალოდნელი 3.1%-იანი დონიდან. ამასთან, მთავრობის ვალი 2023 წლისთვის მშპ-ის 38.3%-ზეა დაგეგმილი (39.6%-ია მოსალოდნელი 2022 წელს), რაც პანდემიამდელ მაჩვენებლებზე დაბალია.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.5%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,023
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.5%	10.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.7%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

წლიური ინფლაცია საქართველოში



წყარო: საქსტატი



ფულადი ბაზარი


გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა. უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2022 წლის 6 დეკემბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

მადიანობა	გამომუშება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	220	20	120
1-წელი	265	30	295
2-წელი	820	80	1,380
5-წელი	980	90	3,402
10-წელი	200	100	1,396
სულ	2,485	320	6,593


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.14%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.56 (+0.06% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 94.62 (-0.08% წინა კვირასთან შედარებით), 10.80%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 86.44 ფასად (+7.55% წინა კვირასთან შედარებით), 7.00%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 90.50 (+2.07% წინა კვირასთან შედარებით), 5.89%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	90.50	5.89	210.87
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	86.44	7.00	354.63
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	100.56	5.14	35.35
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	99.51	12.31	683.02
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	94.62	10.80	606.03
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	93.68	10.28	660.87
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	98.26	6.96	230.64
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	93.82	13.53	1,024.87

ადგილობრივი ობლიგაციები


KTW	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	99.88	9.50	n/a
GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.90	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.49	6.75	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	97.35	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.77	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.73	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.37%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	n/a	n/a	-/-/-

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 25.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.77% წინა კვირასთან შედარებით და +14.63% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 550 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 24.65 - 26.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 98 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 22.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.92% წინა კვირასთან შედარებით და +6.80% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 557 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 21.45 - 22.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 87 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.55 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.48% წინა კვირასთან შედარებით და +20.99% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 213 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.30 - 7.64 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა.

წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	25.85	1,271	59.6%	61.0%	55.0%	4.58x	4.69x	4.72x	1.06x	1.08x	0.91x
TBC	TBC	GBP	22.00	1,213	53.8%	41.0%	33.3%	4.75x	4.32x	4.06x	1.04x	0.95x	0.81x
Halyk Bank	HSBK	USD	11.48	3,131	20.8%	-32.7%	-30.4%	2.60x	2.62x	3.19x	0.76x	0.77x	0.65x
Akbank	AKBNK	TRY	16.86	87,672	90.9%	147.6%	134.2%	6.04x	1.54x	2.23x	0.96x	0.61x	0.55x
Garanti	GARAN	TRY	25.86	108,612	71.6%	122.0%	129.5%	7.12x	1.99x	2.64x	1.20x	0.74x	0.63x
Isbank	ISCTR	TRY	10.44	46,980	116.2%	236.7%	222.6%	2.87x	0.87x	1.08x	0.99x	0.69x	0.55x
PKO	PKO	PLN	28.87	36,088	-8.2%	-34.9%	-35.7%	6.63x	9.92x	5.57x	0.86x	1.04x	0.90x
PEKAO	PEO	PLN	84.50	22,179	-10.8%	-27.3%	-30.7%	9.22x	7.14x	5.68x	0.84x	0.95x	0.84x
Millennium	MIL	PLN	4.57	5,549	-4.1%	-47.8%	-44.2%	na	2.28x	2.83x	0.81x	1.15x	0.89x
Mbank	MBK	PLN	312.00	13,224	12.1%	-36.1%	-28.0%	na	na	7.14x	0.83x	1.05x	0.90x
BRD	BRD	RON	13.60	9,478	-0.6%	-20.3%	-23.2%	6.06x	7.30x	6.74x	0.81x	1.47x	1.14x
Banca Transilvania	TLV	RON	21.10	133,172	-5.7%	-4.6%	-8.3%	na	na	na	1.24x	1.43x	1.28x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	10.75x	10.06x	0.65x	0.69x	0.65x
Komerční	KOMB	CZK	669.50	127,238	-8.3%	-23.8%	-28.4%	11.10x	7.62x	8.28x	1.14x	1.03x	0.98x
საშუალო								6.34x	5.09x	4.94x	0.94x	0.97x	0.84x
მედიანა								6.06x	4.51x	4.72x	0.91x	0.99x	0.86x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.55	352	13.4%	12.9%	5.9%	1.80x	4.18x	3.17x	0.41x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.28	447	-7.1%	-9.0%	-8.6%	13.85x	na	na	0.94x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	39.98	81,575	90.6%	199.0%	202.2%	5.61x	2.19x	3.28x	1.31x	0.95x	0.71x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.95	544	-3.7%	-25.7%	-27.4%	2.57x	na	6.88x	0.68x	1.07x	0.88x
Eurazeo	RF	EUR	60.95	4,829	-15.8%	-18.2%	-20.6%	2.91x	na	na	0.72x	0.68x	0.65x
Carlyle Group	CG	USD	31.91	11,370	-19.5%	-42.2%	-41.9%	3.34x	7.33x	7.76x	1.87x	2.63x	1.94x
Wendel SE	MF	EUR	89.70	4,014	-6.0%	-11.9%	-14.9%	3.45x	7.48x	7.39x	1.35x	1.42x	1.24x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.59	1,632	-4.4%	-14.5%	-14.7%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.95	696	10.8%	-9.4%	-13.8%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.29	766	11.3%	13.9%	2.5%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	9.04	625	-23.2%	-35.0%	-37.4%	3.10x	na	na	0.52x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.45	233	-6.4%	5.8%	9.7%	1.78x	na	na	0.45x	na	na
საშუალო								4.27x	5.30x	5.70x	0.92x	1.35x	1.09x
მედიანა								3.10x	5.75x	6.88x	0.72x	1.07x	0.88x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარეგულაციო მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gf.ge